სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაური ქარვასლა.
...ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე... მიმართავენ რედაქციას დილის ...—3 საათამდე და საღამოს 6—7 ... „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიის.
...ელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
...რის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

**1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „ცნობის ფურცელზე"**

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

მორთული ოთახები

## საქსონია

რომელიც წინად დვორცოვი ქუჩაზე იყო ამ ჟამად გადატანილია ...ნიკოლოზის მოედანზე ეფიენჯიანცის სახლებში.
ნომრები საუცხოვოდ გემოვნებით არის მორთული, ოთახები მ...ღლი, ნათელი და შნოიანია.
ფასი თვიურად 12 მანეთიდან სამოვრით და მსახურით და დღიურად 50 კაპიკიდგან.

**меблированные номера**

**САКСОНІЯ**

На Николаевской площади, д. Эфіаджіанца дешевизна, чистата и удобство.

პატივისცემით გულგა.
(4—2)

ექიმი **ი. ია. გოკიელოვი**

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი], საშარდეს ...ნის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით ...—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
...ერმოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
...აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
...განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—1)

**შპალერების საწყობი**

**ი. გ. მელიქიშვილისა**

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

**І. Г. МЕЛИКОВЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 93)

სამკურნალო და ამბულატორია

**ვ. ზ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. **თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერრატი**.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი**.
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი**.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ზ. თოფურია**.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** **საეკკლესიო საუბარი ქვაშვეთის ტაძარში.** კვირას, ათ იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში საღამოს 5 საათზე დაიწყება მწუხრი, რომელსაც შეასრულებს ყოვლად-უსამღვდელოესი ეპისკოპოსი გორისა ლეონიდე. მწუხრზე იგალობებს სას. სემინარიის ქართულ მგალობელთა გუნდი. მწუხრის შემდეგ ჩვეულებრივი დაუჯდომელი აღარ იქნება შესრულებული და პირდაპირ წარმოთქმულ იქნება საეკკლესიო საუბარი ქართულ ენაზე ტფილისის სას. სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის მიერ შემდეგის სათაურით: „საქართველოს ეკკლესიის წმ. მოწამე აბო ტფილელი".

*** **არჩევანები ბათომში.** 7 იანვარს მომხდარ არჩევნებზე ბათომის საბჭომ აირჩია: ქალაქის მოურავად—ლ. ნ. ასათიანი, გამგეობის წევრად—გ. ო. ვოლსკი და მდივნად—ი. ს. მესხი.

*** **ყოვლად-სამღვდელო გრიგოლი სოხუმის ეპისკოპოსად.** როგორც „ნოვ. ობ."-ს სოხუმიდან ატყობინებენ, პეტერბურგიდან ამბავი მისულა, რომ სოხუმის ეპისკოპოსი ქ ტულის კათედრაზე გადაჰყავთო. ხოლო არსენის ადგილზე კი ნიშნავენ გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად ნამყოფს მოსკოვის სინოდალურ კანტორის წევრს ყოვლად-სამღვდელო გრიგორის.

*** **ქართული საღამო ბათომში.** ბათომიდან იუწყებიან, რომ 14 ადგილობრივ კლუბის დარბაზში გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების ბათომის სკოლის სასარგებლოდ.

*** **მეღვინეობის სკოლები კავკასიაში.** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, როგორც გაზეთები იუწყებიან, დაუდგენია დაარსებულ იქნეს წელს ამიერ კავკასიაში რამდენიმე მეღვინეობის სკოლა.

*** **ტფილის-ყარსის რკინის გზა.** ამ მოკლე ხანში გაიხსნება მოძრაობა ტფილის-ყარსის რკინის გზაზე. ამ გზაზე სამგზავრო ბილეთების ფასი ისეთივე იქნება, როგორც რუსეთის სხვა რკინის გზებზე.

*** **გლეხების საჩივრის დაკმაყოფილება.** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ სოფ. ყვიბისისა, გერისა, გდოვისა, და სხ. საზოგადოებებმა, რომლებიც შესდგებიან 120 კომლისაგან, სთხოვეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, უბრძანეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას აღადგინოს ჩვენი სოფლების გზა, რომელიც ბორჯომის რკინის გზის გამოყვანის შემდეგ მოისპო, რის გამო დიდ

გაჭივრებაში ვართ, განსაკუთრებით სხვა და სხვა სურსათისა და საქონლის საკვების მოტანა გვაქვს გაძნელებულიო. გლეხების საჩივარი, როგორც სჩანს, უკვე დაუკმაყოფილებიათ, რადგან ხსენებული სასოფლო გზა ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს უკვე გაუწმენდია ბორჯომის რკინის გზის ზვავებისაგან, ასე რომ მიმოსვლა ს. ქვემო ბელლეთსა, ვარდანეთსა, ყვიბისსა და ბორჯომს შუა ისევ განახლებულა. გარდა ამისა ამ ჟამად აკეთებენ გზას 23 ვერსზე და აფართოებენ მე-21 ვერსზე, რის შემდეგ შესაძლებელი შეიქნება ამ გზაზე ურმების სიარული. ეს მუშაობა დამთავრდება ამ დღეებში და სოფლელებს უკვე შეეძლებათ გაიტანონ თავიანთი ნაწარმოები ბაზარზე.

*** **გუბერნატორის გამგზავრება.** ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვი 8 იანვარს ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზით პეტერბურგისაკენ გაემგზავრა. როგორც ისმის, ბ. გუბერნატორი ერთი თვე დაჰყოფს რუსეთში.

*** **ქალაქის მოურავის წინადადება.** ტფილისის ქალაქის მოურავი 11 იანვარს წინადადებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს იმის შესახებ, რომ საბჭოს ხმოსანთაგან არჩეულ იქნეს კომისია იმ გაუგებრობის განსახილველად, რომელიც ჩამოვარდა ქალაქის მოურავსა და გამგეობის ხმოსანს თავ. არღუთინსკის შორის სამსახურის შესახებ. ამ წინადადებას განიხილავს საბჭო თავ. არღუთინსკის განცხადებასთან ერთად, რომელიც გუშინ გვქონდა მოხსენებული.

*** **სასამართლოს სესსია.** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებითი განყოფილების სესსია გაიხსნება ქ. გორში 21 იანვარს, სასამართლოს წევრის ა. ი. ბაგაევსკის თავმჯდომარეობით.

*** **ახალი ნავთის მწარმოებელი საზოგადოება.** როგორც ისმის, ბაქოში არსდება ახალი ნავთის მწარმოებელი სააქციონერო საზოგადოება „ფაროსი“, რომლის თანხა უდრის სამ მილიონ მანეთს. დამფუძნებელია ნ. ვ. მალხაზოვი და სხვ. ნავთის მწარმოებლები.

*** **ს. ალი** (ქართლი). **ჩარჩის გაადვოკატება.** ერთმა აქაურმა ცილინდრიანმა ჩარჩმა, თავისი გაიძვერაობით რომ ქონი მოიცხო, ჩარჩობა იუკადრისა და სთქვა: „რა ჩემი საქმეა ასე წვრილ-წვრილად ფულის შოვნაო, ახლა „ადვოკატობას“ დავიწყობ და ბლომ-ბლომათ ჩავჯიბავ ფულსაო“. გადასწყვიტა ასე და იმ აზრს დაადგა, რომ დღეის იქით „ადვოკატია“. „ახალი ადვოკატი“ ახლა იმის ფიქრს შეუდგა თუ რითი გაითქვას „ადვოკატობის სახელი?. იფიქრა: „ერთ კაცს რომ დავეტაკო და დაუწყო საჩივარი, ეს არაფერი ბიჭობა იქნებაო და ვერც ვერავინ გაიგებს ჩემს „ადვოკატობასაო“, მთელ სოფელს დავუწყებ დავას და ხალხს რომ ერთი-ერთმანეთს მივახლი, „ადვოკატის“ სახელს გავითქვამო“. მართლაც, ჩვენმა „ადვოკატმა“ გამოიჩინა ერთი სასოფლო მშვენიერი მინდორი: რომელიც სოფლის მისავალშივეა და ურომლისოდაც, როგორც თევზი უწყლოდ, ისე ალელები ვერ გასძლებენ; „ადვოკატმა“ აიტეხა ხალხში, რომ ეს მინდორი ჩვენს მამაპაპას სჭერია და დღეს მე მეკუთვნისო; დაიწყო მომრიგებელ მოსამართლესთან საჩივარი. ალელებს სასაცილოდ არც კი ყოფნიდათ ეს ამბავი და ყურადღება არ მიაქციეს მის საჩივარს. რამდენჯერაც მოსამართლე დაიბარებდა სოფლელებს, უკანასკნელნი ერთი-ერთმანეთს უყურებდნენ და სასამართლოში ფეხიც არავინ შესდგა. ბოლოს მოსამართლემაც გადასწყვიტა, რომ ხსენებული მინდორი ეკუთვნის ბ-ნ ჯ—ს, ახალი „ადოკატი“ სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. როცა ალელებს გადაწყვეტილობის ქაღალდი მოუვიდათ, მაშინ, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ და ასტეხეს ერთმანეთში აყალ-მაყალი და ერთმანეთის დაბრალება, ექეთ ეცნენ, იქით ეცნენ და შეუდგნენ კარგი გამოჩენილი ვექილის ძებნას, ვექილიც აიჩინეს და გაურიგდნენ ათას მანეთათ. ვექილმა, საჩივარი გადაიტანა ოლქის სასამართლოში, იქაც საქმე გაძნელდა „ადვოკატისაგან“ მოსყიდულ მოწმების ჩვენებით. საქმე იქამდე მივიდა, რომ მაღალი სასამართლოდამ ადგილობრივ მოვიდა წევრი და დარწმუნდა ჯ—ის სიყალბეში, რომელიც თუმცა ხახა-მშრალი დარჩა, მაგრამ ალელების ნაოფლი ასი თუმანიკი იმსხვერპლა. „ახალმა ადვოკატმა“ კიდევ ბევრი უჩივლა, ტყუილ-უბრალოთ და ყველაფერში რომ გამტყუნდა, სახელათ დაერქვა: „ცრუ-ადვოკატი.“ დღეს ჩვენმა „ცრუ-ადვოკატმა“ ისევ ჩარჩობას მიჰყო ხელი და აქაც გახუნებული, გარეთ რომ ველარას აკლებს, ახლა შინაურობას დაერია და ვნახოთ რა იქნება?!..

ის არა ვარ...

*** **ს. მალარო. ძველი და ახალი ამბები.** დეკემბრის გასულს, მალაროს ბოლოს აზნაურ თადეოზ ნაცვალოვის ჩარდახს გაუჩნდა ცეცხლი, და სულ რამდენისამე საათის განმავლობაში ცეცხლმა იმსხვერპლა ჩარდახი და 400 ფუთი თამბაქო. ცეცხლმავე დააზიანა ერთი გლეხი, ნაცვალოვის მოჯამაგირე. ცეცხლი როგორ გაჩნდა ნამდვილი ჯერ არა ისმის-რა. მხოლოდ როგორც ადგილობრივმა გამოძიებამ აღმოაჩინა, ჩარდახშივე სძინებიათ 4 მუშას. როგორც მუშები ამბობენ, ესენი მეორე ოთახში წოლილან და ცეცხლის გაჩენის ღამეს და მთლად იმ საღამოთი იმ განყოფილებაში, სადაც თამბაქო წყობილა და სადაც ცეცხლი გაჩნდა, სულ არ შესულან. ცეცხლი კი იმათის სიტყვით გაჩნდა შუა თამბაქოს საწყობ სახლში და რადგან ჩარდახი ჩალით იყო დახურული და იმ დღეს ქარიც ქროდა, ისე ერთბაშად გაძლიერებულა, რომ მუშებს ტიტვლებს ძლივს გადურჩენიათ თავი და ერთი მათგანი კიდეც დაშავდა. ცეცხლს მთლად უმსხვერპლია ჩარდახიც და თამბაქოც. მეორე დღეს სადგომი ჩარდახისაც აღარ ემჩნეოდა ალაგზე. როგორც ამბობენ ზარალი 3,000 მან. აღემატება.

სამწუხარო ამბავთან არ შემიძლიან ერთი სასიამოვნო ამბავიც არ აღვნიშნო. წარსული წლის დამლევს, მალაროში, ნაცვალოვის ქალს რამდენიმე ყმაწვილი ქალი შეეგროვებინა და ჰრაკერვას ასწავლიდა. ეხლა შეგირდები ამ ახალის წლიდან უფრო გაუმრავლებია და საფუძვლიანათ ასწავლის ჰრაკერვას. ნაცვალოვის ქალმა სპეციალურათ იცის ეს საქმე და იმედია შეგირდებსაც რიგიანათ შეასწავლის, მაგრამ რადგან მარტო ევროპიული ტანთსაცმელის ჰრაკერვა არა კმარა, ჩვენი გლეხის ოჯახისთვის, ურიგო არ იქნებოდა, ამ პატიოსან მუშაკს სხვა ხელსაქმეც შეესწავლებინა ქალებისთვის. თუ სხვა ხელ-საქმეს მეტი ხარჯი დასჭირდება ჯერხნობით შეიძლება ქსოვნა, ქარგვა რამ შეასწავლოს შეგირდებს და მერე იმედი გვაქვს ბევრი თანამგრძნობლები გამოუჩნდებიან და შემწეობას აღმოუჩენენ. ამ სოფელში ბევრნი არიან შეგნებულნი პირნი, ინტელიგენტნიც, რომელნიც ზამთრობით გაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა ქალაქებში და ზაფხულში რომ შეგროვდებიან, თავიანთ ყურადღებას მიაქცევენ ამ საქმეს და გააფართოვებენ კიდევაც. სწორეთ რომ წინამორბედია ეს სოფელი მთელს ქიზიყში, ყველა კეთილი საქმე, რასაც კი წინამსვლელობის დამღი აძევს, აქ იწყობა ხოლმე. „ყველა ბუზი ბზუვის, მაგრამ ფუტკართან კი ყველა ტყუისო“ ეს არ შეიძლება არ მიეწეროს მალაროს. სხვა სოფლებიდგან ბევრს იძახ... გაზეთები ბევრს იწერებიან ა... და ეს საქმე დავიწყეთ—გვ... ამისი გაკეთებაო და გაკეთებ... კი მაგდენი არა არის რა ხო... და ხან ხომ საქმეს დასაწყის... მოსპობენ ხოლმე, აქ მალარო... კი ჯერ კეთდება და მერე ხმა... დის ხოლმე. რამდენათაც მახს... ქიზიყში პირველათ წარმოდგ... ბის გამართვა მალაროში დაი... და თითქმის ყოველ ზაფხულო... აუცილებლათ ერთხელ მაინც მ... ხერხებენ ხოლმე სცენაზედ ... მაშს. აქვე არის ხოლმე მ... ზაფხულს წიგნების კითხვა, ლ... სების ვარჯიშობა, სიმღერები... სხვა ხალხის გონივრული გა... თობი საღამოები. აქვე პირ... ისპობა ერთი მეტათ მაზარალ... ლი ხალხის ჩვეულება დღეობო... პატიჯილი. ეს ორი სამი წელ... რაც აქ რამდენიმე პირთა თა... ნობით დღეობის გადახდის მა... საერთო ფსონის პური იმართ... ხოლმე, სადაც თავს იყრიან ... ლა ჯურის ხალხი—განურჩევლ... წოდებისა, სქესისა და ცოდნ... ამ საერთო სადილებზედ იმარ... ბა ხოლმე მეჯლიშთან ერთად ... ბარიც სხვა-და-სხვა დღიურ ვ... მის შესახებ. როგორც გავ... მალაროში აპირებენ ბიბლიოთ... სამკითხველოს დაარსებას, უს... ვებთ კეთილათ დაებოლოვებინ... ეს კეთილი საქმე და მალე ... აეცრუვებიოთ გული, როგო... ზოგიერთ სოფლებში მოს... ხოლმე. მაგალითად თუნდა ... დოთ სოფელი ქვემო მაჩხაანი... სოფელი რას არ ჰპირდებ... ქვეყანას თავიანთ ნაყოფიერ მ... ლის პირათ. ვის არ ახსოვ... დიდი ამბით იხსენიებდნენ იქ... კითხველოს დაარსებას. მერე ... იქმნა? ნუ თუ სამკითხველო ... ბლიოთეკა—იმას ჰქვიან რამდ... მე წიგნი შეიძინოთ, შეკრათ... თად, დაუჭიროთ თოკები და ... რათ თავი სარდაფში სადმე. პა... ცემულნო მკითხველნო, თქვენ ... კი სიცრუეში არ ჩამომართ... სწორეთ ნამდვილი გახლავთ... ზაფხულს, (წარსულს) როცა ... პიესა დასჭირდათ მაჩხაანში, მა... ლა მოაგონდათ წიგნთ-საცავის... სებობა—მოგონებით კი ვ... იპოვეს. რათა ესა და იმიტომ, ... დიდი კაცის დაარსებული გ... დათ და ნაძალადევი, თორემ ... რა კაცს რომ დაეარსებინ... გრძნობისა და მოთხოვნილ... მიხედვით, მაშინ იქნება წიგ... დაეჭამნათ კი და სარდაფში ... აღარ ჩამალავდნენ სადმე.

ნაცნ...

*** **ს. ჩხენიში.** (ქვემო ი... თი). **ხალხის დამაბუნება.** ჩხე... შეადგენს ერთს პატარა კუ...

...ქვემო იმერეთში. ეს სოფელი ქონებრივად არ არის იმდენათ დაქვეითებული, რამდენად ზნეობრივ და სწავლა განათლებითაა, რადგან მას არა ჰყავს მოთავე და არც გულ შემატკივარი, რომელმაც ჩააგონოს უვიც ხალხს თუ რამდენათ სასარგებლოა შვილის აღზრდა, რომელიც არა მეტ-ფასათ დაუჯდებათ მათ, ვიდრე სხვა და სხვა მავნებელ ჩვეულების ასრულება და უთავბოლო ხარჯი, რომელსაც ხშირად მოყვება ჩხუბი და ხან მკვლელობაც. აი ასეთი უსიამოვნება და უბედური შემთხვევები წარმოდგებიან ხოლმე უმეტეს ნაწილათ აქაურ ახალ-გაზდებისაგან, მეტადრე ჩხენიში დიდათ შეწუხებულია ამათი თავ-გასულობით. ქურდ მტაცებლობას თქვენი პირი წაუღია, კაცის კვლა არაფრათ გააჩნიათ, აქაური დღეობა ისე არ დასრულდება, რომ კაცი არ დაიჭრეს ან-არ მოკვდეს.

ამას წინათ გაზეთშიაც მოხსენებული იყო, ორ ძმას ხარებავებს თავს დაეცნენ აქაურნი გაიძვერები იმ მიზნით, რომ ფულები წაერთმიათ, ერთი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს. მიუხედავად ამ სოფლის სხვა გაჭირვებისა ესეთი უბედურებაც თან-და-თან გაგვიხშირეს აქ, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი, რომ ააშოროს ხალხს ასეთა მწუხარება და არი დაიშუროს თავისი ძალ-ღონე ამათი ზნეობის აღსადგენათ. ისევ სჯობს ჩვენი გაჭირვების შემსუბუქებას ჩვენ თავათ შევუდგეთ, გავახილოთ თვალი და წავბაძოთ იმ დაბა სოფლებს, რომელნიც მარად ებრძვიან ბოროტს და ილვწიან საკეთილ დღეოთ—წინ მიდიან, როგორც ზნეობრივად, ისე სწავლა განათლებით: აარსებენ სკოლებს, სამკითხველოებს და სხ. ამათ კი ყველა ეს მეტ ბარგათ მიაჩნიათ, აქვთ მხოლოდ ერთი სამრეწველო სკოლა, რომელიც ეკონომიურათ მეტათ ცუდს მდგომარეობაშია და მოსწავლეთა რიცხვიც მცირეა, სამკითხველო ამათ ფიქრათაც არ მოსვლიათ, რომელიც ერთის მხრით დიდათ შეუწყობს ხელს ამათ ზნეობრივად განსპეტაკებას. ამისათვის დიდათ საუმჯობესოა, რომ ესენი თუ მთლათ არ დაიშლიან ავიანთი დღეობას, ნახევარი ხარჯი მაინც გადასდონ სამკითხველოს დასაარსებლათ. იმედია ადგილობრივი მღ. ო, ს—ძე ყურადღებას მიაქცევს ამ სოფლის მდგომარეობას და თავისი მოღვაწეობით თანდათან წინ წასწევს ამათ როგორც სწავლა ცოდნით, ისე ზნეობრივად,

ე. ჩიჯავაძე.

* * **ქავთისხევი.** (ქართლი). ქავთისხევის საზოგადოებას ეკუთვნის რამოდენიმე მთის სოფლები, სულ რიცხვით თერთმეტი: დედა-ღვთისა. პარეტისი, ბოტისი, საკურთხისი, შუბათი, ტყემლიანა, სამტრედე, ხვარი-კოტმანი, ვერხვეული, ვარჯან-ტახი, სანათ-უბანი და წიფორი. ყველა ამ სოფლებში მცხოვრებთა რიცხვი კარგი გვარიანია, კაცმა რომ თვალი გადაავლოს მთის ხალხის ცხოვრებას, დარწმუნდება, რომ ჯერ ხალხი სრულებით არ გასცილებია პირუტყვულ მდგომარეობას. სახლები აქვთ ნაშენები მიწური და დიდრონი ტლანქი ხეებით ნაშენები. რაც უნდა გაკეთებული ოჯახი იყოს, მაინც და მაინც ერთი დიდი სახლის მეტი არ აქვს: ყოველისფერი რაც კი აბადია მთიულს, სულ შიგ არის მოთავსებული ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენები და სხვა ავეჯეულობა. ჩაექანებით თუ არა მთიულის მიწური სახლის კარებს და გამოაღებთ, შემდეგი სურათი დაგეხატებათ თვალ-წინ: ჯერ უპირველესათ კარგა ბნელა, ერთ მხარეს ჩამწკრივებულია საქონელი, მეორე მხარეს ალაგია გამურული დიდრონი გოდრები და ამბრები, შუაზედ ანთია შუა ცეცხლი და ბანის პირდაპირ ჩამოკიდებულია რკინის საკიდელი საჭმლის ქვაბის ჩამოსაკიდებლად. მთელი ადგილი სახლში ამოთხოვებული ორმოებით არის სავსე, რომელშიაც საქონლის გაყვითლებული შარდი სდგას. ცეცხლის მახლობლად ამართულია დედაბოძი, რომლის პირში მიდგმულია ფაცანკალი, რომელიც ბალიშის და მუთაქის მაგივრობას ასრულებს. შუა ცეცხლის გარეშემო ორიოდ სამი გათუთხნილი ჩული გდია. მთელი სახლი გატენილია კვამლით, რომლის ზედ გავლენით მთელი დარბაზი შავი კუპრივით არის გამურული, თვით ადამიანები და საქონელიც სრულიად შემურულები არიან, მეტადრე ზამთრობით. იქვე იმათ საწოლის ზევიდგან გადებულია გძელი ქანდარა, სადაც ქათმები სხედან, საიდგანაც ღამ-ღამობით ზევიდგან აკმევენ მძინარე ხალხს ციური მანანასავით სკინტლებს. დარბაზის მივარდნილს და ბნელს კუთხეში შენიშნავთ, რაღაც ჭდეულს ქოხს. ამ ქოხის დანიშნულება ის არის, რომ, როგორც ისინი ეძახიან „მურდალ“ დედაკაცს შიგ ამწყვდევენ. ამ პატარა ქოხში მშობიარობის დროს შეაგდებენ დედაკაცს უპატრონოდ, ნება არავის აქვს შევიდეს მელოგინესთან ორის კვირის განმავლობაში. ქოხის შუა ადგილას ჩამობმულია მსხვილი წნელი, რომელსაც მშობიარობის დროს დედაკაცი ჰკიდებს ხელს და შობავს: პატრონები მელოგინეს პატარა ჭუჭრუტანიდან სასმელ-საჭმელს გადააწვდიან და მოშორდებიან. ამ ორი კვირის განმავლობაში მელოგინე ბებიაობასაც, დარეცხასაც და სხვას სულ თვითონ ასრულებს. რასაკვირველია ამ გვარი პირუტყული საქციელი ხშირათ უმსხვერპლოდ არა თავდება და მრავალთ სამარისაკენ ისტუმრებს.

ბაბულა

* * **ს. მარტვილი.** მადლობის გამოცხადება. წარსული წლის „კვალის“ 51 ნომერში ჩვენ წავიკითხეთ მასწავლებლის ბატონი აკაკი გეგეჭკორის წერილი, რომელიც ნაცვლად საახალწლო სადარბაზოდ სიარულისა და სტოლის განწყობისა, იგი უგზავნის ხუთ მანეთს ფულს „კვალის“ რედაქციას და სთხოვს ამ მიმდინარე წლის განმავლობაში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველის უგზავნოს ჟურნალი „ჯეჯილი“. უგულითადეს მადლობას ვწირავ მასწავლებელს ბ. აკაკი გეგეჭკორს ესრეთი კეთილ განზრახვის და ჩვენის შემწეობისათვის; მასთან მადლობას ვუცხადებთ ბ. ნოსირელ გიორგი თოფურიას, რომელმაც ჩვენს სამკითხველოს წარმოუგზავნა ათი სხვა და სხვა ქართული წიგნები; ღმერთსა ვსთხოვთ ამ ორთა კეთილ მოქმედთა პირთა მრავალნი მიმბაძველნი აღმოუჩნდნენ ჩვენი ღარიბ სამკითხველოსთვის.

გამგე მარტვილის წიგნთ-საცავ სამკითხველოსი ლიუბოვ გიორგის ასული გაწერელიასი

## სამეცნიერო ცნობა

სინათლე *). სინათლე და სითბო საგნიდგან ერთგვარად გამოდიან. სინათლის და სითბოს სხივები დედამიწას ერთად გაივლიან ხოლმე. სინათლე, რომელიც 1,400,000 ვერსტას სიშორიდგან მოდის, და სითბო ერთნაირად მოქმედებენ. ეხლა განვიხილოთ, რა არის და რაში მდგომარეობს სინათლე. ეს ხომ რაიმე მატერია არ არის, რომელიც მნათობ საგნებიდგან გამოდის და იმ დრომდე მოძრაობს, სანამ საგანს არ შეეხება. ვთქვათ, ეგრე იყოს. მაგრამ როცა ამ სითხის ერთი ნაწილი საგანს ეხება, მეორეს რაღა დაემართება? აი სწორედ ესე ფიქრობდნენ უწინდელ დროში: სინათლე მაშინ რაღაც სხეულად მიაჩნდათ, მაგრამ ახლა-კი სინათლეს სწავლული ხალხი სხეულად აღარა სთვლის. აი რას ამბობენ სწავლულნი: ბუნებაში ცარიელი ადგილი არსად მოიპოვება. ყველგან რაღაცა თვალ შეუმჩნეველი მატერია გართხმული, რომელსაც ეთერს ეძახიან. როდესაც ეთერი გაუნძრევლადა სდგას,—მაშინ ჩვენ მის ყოფნას ბუნებაში ვერც-კი ვამჩნევთ. მაგრამ ზოგი საგანი ისეთი თვისებისაა, რომ მას თავისი განსაკუთრებული თვისებით ეთერი მოძრაობაში მოჰყავს, როგორც, მაგალითად, ხმოვან საგანს ჰაერი მოჰყავს მოძრაობაში. ეთერის მოძრაობა უფრო ჩქარია, ვიდრე ხმისა. სინათლე ერთ წუთში 280,000 ვერსტს გაირბენს ხოლმე. როდესაც ეთერი ჩვენს თვალთან მოახწევს, მაშინ ის სინათლედ მოგვეჩვენება. მაშასადამე, ჩვენ ეხლა დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სინათლე, ხმა და სითბო არიან საგნის უმთავრესი მემოძრავებელი ნაწილები. დიდ მადლობას უნდა უხდიდეს კაცობრიობა ნიუტონს, რომელმაც გამოიკვლია და ჩვენც შეგვაგნებია ჩვენი სიცოცხლის უმთავრესი დედა-ძარღვის—სინათლის—თვისებანი, ურომლისოდ ქვეყნიერებაზე არამც თუ ადამიანი, არამედ უმნიშვნელო მწერი—ჭინჭველაც-კი ვერ გასძლებდა.

პ. მოსულიშვილი

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 721

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა *)

ია. რისხვისათვის. ვითარცა ქარიშხალი აღჰრალებით თვისით აღმოსთხრის ხეთა ძირითურთ მათით და უსახო ჰყოფს პირსა ქვეყნისასა, ანუ ვითარცა ძრვა მიწისა დააქცევს რყევითა თვისითა უმტკიცესთა შენებულებათა, ესრეთვე გონება, აღძრული რისხვითა, განუთვისებს ყოველსა კერძოსა ახრებასა; შიშნი და ვნებანი არიან ხელთა შინა მისთა, გარნა მხედველი მისი ნუ დაივიწყებ უსუსურებასა შენსა, და მაშინ გაუშორვებლად მიუტევებ შეცოდებასა სხვათასა უკეთუ იტვირთავ მცირესა წყენასა მოთმინებით, მაშინ მოთმინება იგი შენი შეგძენს შენ სიბრძნესა, და უკეთუ სრულიად აღხოც მას გონებასა შინა შენსა, მაშინ გული შენი არღარა ინანებს.

არა ჰხედავ, რომ კაცი რისხვასა შინა მოაკლდების გონიერებასა და ჭკუასა, და ამისთვის, რათა არ იყო მრისხანე, წინამძღვრად გაქონდეს სიფაცხე სხვათა. ნურას განიზრახავ რისხვასა შინა, ვინაითგან არარა მისცემია ზღვასა დროსა რისხვისასა. უფრთხისა დროსა იყავ ფრთხილ, როდესაც გამოჩნდეს დრო იგი რისხვისა უგუნურთა არა მოსწონთ სირეგვენი სხვათანი, ხოლო გონიერნი სრულიად უგულებელს ჰყოფენ მათ.

ნუ მიეცემი შურის ძიებასა, ვინაითგან იგი იქმნების მტანჯველი გულისა-

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 721.

ხა შენისა და ცუდ ჭკუოფს კეთილსა მოწლეობასა შენსა სხვასადმი.

იყავ მარადის მიტევებისადმი სხვათა, ვიდრედა შურის ძიებისადმი მაწყინებელთა შენთა, ვინაითგან შეძიებელი შურის ძიებისა განიმზადებს თავისა თვისისათვის ჯურღმულსა და ეძიებს წარწყმედასა თვისსა.

მეუდრო პასუხი მრისხანისა კაცისადმი არს წყალი, დასხმული ცეცხლსა ზედა და გარდამაქცეველი მტრისა მოყვრად. უკეთუ იფიქრებ, რაოდენ მცირე არიან რისხვისა ღირსნი საქმენი, მაშინ იხილავ თუ ვითარ უგუნურად მისცემიან რისხვასა სხვანი

წყარო რისხვისა არს უგუნურება და სიჯაბნე, და ოდეს იფიქრებ თვით თავსა შორის თვისსა, მაშინ ირწმუნებ, ვითარმედ რისხვა უკანასკნელ შემოდებს სინანულსა და სირცხვილსა ფიცხელისა სვინიდისისა მხილებითა.

(შემდეგი იქნება)

## სამკურნალო ცნობა

სიფილისით ავადმყოფობა *). დაახლოვებით ორი ან სამი კვირის შემდეგ, მაგარი დეჯეჯების ზედ-გავლენით მთელი ადამიანის ძარღვები და ჯირკვლები შუპდებიან, თუმცა ადამიანი არავითარ ტკივილს არა გრძნობს. სივდებიან და შუპდებიან უპირველესად ის სხეულის ასოები, რომლებიც ახლო არიან სიფილისის შხამით მოწამლულს ასოზე. შემდეგ იქიდგან, დრო გამოშვებით, გადადის სხვა დანარჩენ ასოებზე და მთელი ადამიანის სხეული იშხამება. ამ მდგომარეობას ავადმყოფისას ეძახიან პირველ ხანას სიფილისისას. თითქმის ორ თვემდის სტანს ამ გვარი მდგომარეობა; ამ ხანში ადამიანს არავითარი ტკივილი არა აქვს, არც გარე კანზე და არც სტომაქში, ხოლო მას შემდეგ გამოჭვრის თეთრ მუწუკებს, რომლებიც მწიფდებიან და იშრიტებიან. მაშასადამე ამ ორი თვის განმავლობაში სიფილისი მოქმედობს ფარულად, შხამავს მთელს სხეულს და ამიტომაც ამ მდგომარეობას ავადმყოფისას უწოდებენ „დაფარულს ხანას“. ეს ორი ხანა სნეულებისა კაცმა რომ გაშინჯოს, შენიშნავს, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა: პირველ შემთხვევაში ავადმყოფი ვერა გრძნობს სნეულობის ზედ-გავლენას, ტკივილებს და უდარდელათაც გრძნობს თავის თავს, ხოლო როცა მეორე ხანაში გადადის და ზედა კანზე აყრის მუწუკებს, მაშინ სნეულება თავის ძალაში შედის, მთელ სხეულს არყევს. ემართება თავის ტკივილი: უმეტესად კი ღამ-ღამობით, ზარმაცდება, ეკარგება ძილი, ხდება უმადოთ, ან ჩვეულებრივზე მეტს სჭამს, სტეხავს ძვლები, თავ-ბრუ ეხვევა, გულის ფრიალი მოსდის, ტანში ამცივნებს, სულის ძალა ეკარგება და შემდეგ მთელი ტანი იარებით ევსება. ამ გვარი მდგომარეობა ადამიანისა არის მეორე ხანა სიფილისისა. მას შემდეგ სნეულება კიდევ ფერს ჰკარგავს: მუწუკებიც ეკარგება, თითქოს ყველა ზემო მოყვანილი ტკივილები და ტეხვა იკარგებიან და რამოდენიმე ხანს ავადმყოფი თავს კარგათა გრძნობს, მაგრამ აი სწორედ მაშინ მოქმედებს უფრო ძლიერად და მთელი სხეულის შხამი ერთ ადგილას გროვდება და იწყობს ადამიანის სხეულის ჭამას.

ივ. კავთელი.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 720.

## ამორჩეული აზრები

—

დედაკაცი გვიყვარს იმ წუთამდე, ვიდრე თანაგრძნობას გამოგვიცხადებს.

—

ყველა ადამიანს ძალ-უძს სხვისი უბედურება მოითმინოს.

## ყურმოკრული საუბარი

—

— მე მგონია, ქალბატონო, თქვენც დამეთანხმებით, რომ წრევანდელი ზამთარი შარშანდელს სრულებით არა ჰგავს.

— მე კი დაგეთანხმებით, მაგრამ მაინც დედაჩემს და მამაჩემსაც მოელაპარაკეთ.

—

— მაპატიეთ, ჩემო ღვთაებავ, ოცის წუთით დავიგვიანე!

— არა, ბატონო, ოცის წუთით კი არა, თქვენ ოცის წლითა ხართ დაგვიანებული.

—

— თქვენი სახე ერთ ჩემ ნაცნობს კაცს მაგონებს.

— რითი გგევარ?

— იმითი, რომ იმასაც აგერ მეორე წელიწადია ჩემი ოცდა ხუთი მანეთი მართებს.


## განცხადებანი

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა

**„კავშირი“**

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.

ეტლთა მიმოსვლა არის შეძარებული მატარებლის მიმოსვლასთან. სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.

ფასი დაწესებულია ერთი მანეთი

ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე

(15 - 15)

გოლოვინის პროსპექტზე ქაშვეთის ეკკლესიის მამულში იძლევა ქირით მოხერხებული

**სარდაფი**

ღვინისა თუ სხვა რამ საქონლის საწყობად. (12—4).



1899 г. Годъ третій 1899

Открыта подписка на 1899 г. на

**Новый журналъ Иностр. Литературы**

ИСКУССТВА и НАУКИ.

**ервое въ Россіи**

общедоступное иллюстрированное ежемѣсячное изданіе. (Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ е... мѣсячниковъ)

12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ.

**1899**

На годъ 4 р. Съ доставкой и перес. 5 р. На ½ года 2 р. 50 к. Съ дост. и перес. 3 р.

«Новый Журналъ Иностранной Литературы» поставилъ себѣ задачей въ ... можно большемъ кругу русской читающей публики пробуждать и подде... вать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удово... своей поучительностью и занимательностью въ области литературы, искус... и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника ... ко новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журналъ И... странной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о результа... умственной дѣятельности и общественной жизни за границей, о томъ ф... міровой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть предме... любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ л...

съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литератур... печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и наил... шія изъ произведеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюжета... такъ или иначе касающихся современности или представл... щихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, худож... твенномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе не ... реводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ ру... каго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію допускающія илл... трированіе, сопровождаются **многочисленными художественно ис... ненными рисунками и автотипическими репродукціями.**

Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особой ... мерацией страницъ и могутъ быть сохраняемы отдѣльными томами.

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и занимате... го содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстри... ной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литерату... художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иностра... журналистики и мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печата...

**Юмористическіе разсказы Уэлльса**

(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „Нов... **Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

Неизданныя произведенія ДИККЕНСА.

Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и свадь... адвоката бѣдныхъ Зибенкейза.

Романъ **Жана Поля Рихтера**. (3—3)

Подписка на 1899 годъ

**РУССЬ 4** **руб. въ годъ съ пересылкой.**

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ“ 2** Рубля въ г... съ пересы...

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа с... ственнымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою с... стоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря уча... выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателямъ ... общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету.

**„НЕДѢЛЯ“** еженедѣльная общественно-политическая газеаа

**„КНИЖКИ НЕДѢЛИ“** ежемѣсячный литературный журналъ

**9** Руб. въ годъ съ перес.

**Всѣ четыре изданія 15** р. въ г... сь пер...

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи ... дѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, ... Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаев... О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. ... жулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайде...*

(3—2) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Голо...*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Января 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი 3. ...